ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2276182
"05" 08 2019
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ ქ. ფოთის ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით იგეგმება 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „ჭალადიდის" გაორჯაჭვიანება.

110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს - „ჭალადიდს", რომელიც აკავშირებდა „მენჯისა" და „ფოთი 2"-ის ქვესადგურებს, მოიცავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ „დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვ და მეტ) საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვ და მეტი ძაბვის) მიმდინარე საქმინობაზე" 2009 წლის 27 აპრილის №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული №00212 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2010 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ქ. ფოთში 110 კვ-იანი ქვესადგურის („ფოთი 4") და 110 კვ-იანი ელექტროგადაცემის ხაზის („ფოთი 4" - „ფოთი 2") მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გაიცა №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

№68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ფარგლებში სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" ახალი საყრდენები დაამონტაჟა ქვესადგური „ფოთი-4"-დან ეგხ „ჭალადიდის" კვეთამდე. ხოლო მოცემული კვეთიდან ქვესადგური „ფოთი 4"-ის ქვესადგურ „ფოთი 2"-თან დასაკავშირებელ დერეფანში ჩართო „ჭალადიდის" ეგხ-ს არსებული საყრდენები.

ამჟამად სს „ენერგო-პრო ჯორჯია" გეგმავს 110 კვ ძაბვის ეგხ - „ჭალადიდის" #154-#169 მონაკვეთის გაორჯაჭვიანებას. გაორჯაჭვიანების შემდგომ ელექტროგადამცემი ხაზის აღნიშნულ მონაკვეთზე გაივლის როგორც ქვესადგური „ფოთი 4"-ის - ქვესადგურ „ფოთი 2"-თან, ასევე ქვესადგური „მენჯის" - ქვესადგურ „ფოთი 2"-თან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზები.

იმის გათვალისწინებით, რომ ეგხ „ჭალადიდის" აღნიშნულ მონაკვეთზე სს „ენერგო-პრო ჯორჯია" საქმიანობას ახორციელებს 2010 წლის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად და გეგმავს ეგხ „ჭალადიდის" მოცემული მონაკვეთის გაორჯაჭვიანებას ქვესადგური „მენჯის" და ქვესადგურ „ფოთი 2"-თან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების დამატებით, არსებული საყრდენების დემონტაჟს და ახალი საყრდენების განთავსებას, რაც ცვლის ეგხ-ს ექსპლუატაციის პირობებს - დაგეგმილი საქმიანობა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

№ 11317
"06" 08 2019
11C0 1/12

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ „110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანების პროექტის“ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტი და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება.

დანართი:

- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანების პროექტის სკრინინგის ანგარიში;
- 110 კვ ძაბვის ეგხ „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანების პროექტის კოორდინატები (Shp ფაილები).

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

შემსრ: ლევან იოსელიანი/577 35 13 97